კოვიდ პანდემია, როგორც დაუძლეველი ძალისა და ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებისადმი მისადაგების წინაპირობა

ელენე ჯოხიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე კერძო ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ამირან მეშველიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2023

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.[1]

[1] თამარ მოსიაშვილი, სიმონ ჯანაშია, ნათია გაბრიჩიძე, ნინო ჟვანია, ნუცა ფრუიძე, ელენე ტატიშვილი, ნინო გულიაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელი წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისათვის (თბილისი: 2011 წელი), 47. https://drive.google.com/drive/u/2/folders/1V8N3zyg-p1645nECwMIANSRSWh2kqeSo (04.07.2021).

აბსტრაქტი

კოვიდ პანდემიამ მსოფლიოში გარკვეული სახის გარდასახვა-გარდაქმნების განხორციელების აუცილებლობა წარმოშვა. პანდემიის არსებობის პირობებში, გარკვეული სახის სახელშეკრულებო ურთიერთობებს და შესაბამისად, ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს განხორციელების საფრთხე შეექმნა. შესაბამისად, გაჩნდა უამრავი კითხვა იმასთან დაკავშირებით, პანდემიური მდგომარეობა უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც დაუძლეველი ძალა, თუ უნდა ამოქმედდეს ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების ინსტიტუტი.

ნაშრომში გადმოცემულია დაუძლეველი ძალისა და ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების ინსტიტუტების არსი, მნიშვნელობა და მისი მიმართება პანდემიასთან და რაც მთავარია, გაცემულია იმ კითხვაზე პასუხი, პანდემია ექცევა დაუძლეველი ძალის/ფორსმაჟორული გარემოების შინაარსში თუ ის წარმოადგენს ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების ინსტიტუტის ამოქმედების წინაპირობას.

მოცემული ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს, მკითხველს დაანახოს რამდენად მნიშვნელოვანია ზემოთ ნახსენები ინსტიტუტების არსებობა ნებისმიერი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსებში. ამასთან, შედარებითი სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მეშვეობით დაანახოს მკითხველს, რომ არსებობს იმის შესაძლებლობა საქართველოს ნორმატიული ბაზის შევსებით მეტად იქნეს დაცული ხელშეკრულების მხარეთა უფლებები. ნაშრომი მკითხველს სხვადასხვა რეკომენდაციას სთავაზობს, რომლის გაანალიზების შემდგომ, ნაკლებსავარაუდო იქნება, რომ მხარეები ვერ შეძლებენ საკუთარი უფლების დაცვას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

საძიებო სიტყვები: პანდემია, ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებისადმი მისადაგების ინსტიტუტი, ადაპტაცია, ფორსმაჟორი.

Abstract

The COVID pandemic has created the need for some kind of transformation in the world. Under the conditions of the pandemic, certain types of contractual relations and the fulfillment of the obligations under this agreement have been threatened. Many questions have consequently been raised regarding whether the pandemic condition should be regarded as force majeure or whether the institution for contract adapting to changed circumstances should be used.

The article clearly explains the essence, significance, and relationship between the pandemic, the institutions of force majeure, and the changed circumstances of the contract. Most importantly, it provides an answer to the question of whether the pandemic is a condition for the use of the institution of adaptation to changed circumstances of the contract or falls under the content of force majeure.

The major objective of this piece of writing is to demonstrate to the reader the significance of the aforementioned institutions in the civil codes of any country. At the same time, through the analysis of comparative law and judicial practice, the author shows the reader that there is a possibility that the rights of the parties to the agreement will be more protected by filling the normative base of Georgia. The paper offers the reader various recommendations, after which it will be less likely that the parties will not be able to protect their rights if such a situation arises.

Search words: pandemic, institution of contract adaptation to changed circumstances, adaptation, force majeure.